შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000231

02/10/2025

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა
მუხლი 3. მოდულის შემუშავება
მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება
მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა
მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება
მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება/განვითარება
მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერში (შემდეგში კოლეჯი/დაწესებულება) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესს.

1.2.დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

1.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი ეყრდნობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ბრძანებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა

2.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი ეტაპია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს ან/და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს.

2.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, არანაკლებ 2 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, დამსაქმებელი /პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი).

2.3.სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

2.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) აღმასრულებელიის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

2.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და შეიძლება მოიცავდეს საერთო პროფესიულ/არჩევით/ კონცენტრაციის მოდულებს.

ა) ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და კონცენტრაციის მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

ბ)შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.

2.6.ჩარჩო დოკუმენტში, არჩევითი მოდულების ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა. აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები, შეარჩიოს და განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ.

ეს შესაძლოა იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

2.7.კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის.

2.8.ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული სპეციფიური პირობების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს.

2.9.თუკი მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებული იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2.10. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.

2.11. კოლეჯი უფლებამოსილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულების გარეშე.

2.12. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

2.13. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, გადაიხედოს არსებული სასწავლო გეგმა და განხორციელდეს ცვლილებები.

2.14. ისეთი გარემოებების არსებობისას (მაგალითად, ფორსმაჟორული გარემოებები), როდესაც ვერ ხდება სასწავლო გეგმის დაცვა, კოლეჯმა შესაძლებელია უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განხორციელების მიდგომების ცვლილება, მისი ნაწილობრივ დისტანციურად დაგეგმვა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, რაც განათლების მიღების ინტერესს გულისხმობს.

2.15. ერთი და იმავე პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან შესაძლოა ერთი განისაზღვრებოდეს პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევით, ხოლო მეორე - ინტეგრირებული და არაინტეგირებული მიდგომით. შემუშავებულ პროგრამაში მითითებულ უნდა იყოს პროგრამის განხორციელების მიდგომა/მიდგომები.

2.16. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1“ მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.17.განსხვავებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა.

2.18.პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.
2.19.პროგრამით განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.
2.20.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მართვის მენეჯერს შეფასების მიზნით.
2.21. ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი გადაეგზავნება აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.
2.22. პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დანართებს: პროგრამის ძირითადი დოკუმენტი; სასწავლო გეგმა; ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა; მასალა/ნედლეული და მოდულები. ის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი პროფესიული მოდულების 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას ემატება „შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და საწარმოს შორის“ და ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან (ხელშეკრულებას თან უნდა ახლდეს სასწავლო საწარმოს/კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი და ინფორმაცია სასწავლო საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორ(ებ)ის შესახებ). შემუშავებულ პროგრამაში უნდა მიეთითოს განხორცილების მიდგომა /მიდგომები; პროგრამაში მითითებულია პროგრამის განხორცილების ადგილი, ხოლო დუალური პროგრამის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს პარტნიორი საწარმოები.
2.23. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ტიპის მოდულებს: ზოგად, პროფესიულ, საერთო პროფესიულ და კონცენტრაციის მოდულებს.
2.24.მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. მესამე დონის პროგრამებს ემატებათ ქართული ენის (A2, 15 კრედიტი) მოდული. ხოლო მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებს ემატება ქართული ენის ორივე მოდული (A2 და B1, ჯამში - 30 კრედიტი). ქართული ენის მოდულები ნარჩუნდება, როგორც დუალური ასევე ინტეგრირებული პროგრამების შემუშავების დროს.
2.25. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი) მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა დარჩეს.
2.26. პროგრამის არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არუნდა აღემატებოდეს ამავე პროგრამის კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს, თუმცა არსებობს ზოგიერთი საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელიც არ იძლევა არჩევითი მოდულის ინტეგრირების საშუალებას.
2.27. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება.

პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

2.28.პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

2.29. პროგრამა, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი;

2.30. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი უნდა განისაზღვროს მინიმუმ ორი კვირით.

მუხლი 3. მოდულის შემუშავება

3.1. მოდული შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

3.2. მოდულის „ზოგადი ინფორმაცია“ მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის სარეგისტრაციო ნომერი, სახელწოდება, გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი, კრედიტების მოცულობა, მოდულზე დაშვების წინაპირობა, მოდულის აღწერა;

3.3.მოდულის „სტანდარტული ჩანაწერები“მოიცავს შემდეგ მონაცემებს: სწავლის შედეგები, და შესრულების კრიტერიუმები, კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები და შეფასების მიმართულება;

3.4.მოდულის დამხმარე ჩანაწერები მოიცავს: სწავლებისა და შეფასების ორგანიზება; საათების განაწილების სქემა; სასწავლო რესურსი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ან შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის; მოდულის განხორციელების ადგილ(ებ)ი; შესაძლებელია მითითებული იყოს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები.

3.5.მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტში მოყვანილი გარემოებებისა.

3.6."სტანდარტულ ჩანაწერებში" "შესრულების კრიტერიუმებისა" და "კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების" სვეტების ქვეშ ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება გამოწვეულია შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით.

3.7.მოდულში დამხმარე ჩანაწერი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა სათანადო დასაბუთებით.

3.8.თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი ან წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, /კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

4.1.დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება (საჭიროების შემთვევაში).

4.2. .იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია კოლეჯის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარადგენს პროგრამის ხელმძღვანელი ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.
4.4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

5.1.პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის ცვლილების შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
5.2.პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.
5.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.
5.4.პროგრამაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას გულისხმობს, განხორციელებული ცვლილებების ინიცირება უნდა ეცნობოს საწარმოს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, თანხმობის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს კოლეჯსა და საწარმოს შორის შეთანხმება.
5.5.პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.
5.6.იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარუი დღის ვადაში.
5.7.პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად ხდება პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირება და განემარტებათ მათი უფლება - კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა.
5.8.მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

5.9.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება

6.1.პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა.
6.2.პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. “
6.3. პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე გარემოებას:
ა) კოლეჯის სამოქმედო არეალში არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)
ბ) დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს;
გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას, ხელს უწყობს პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;
დ) რეესტრის მონაცემები (სწავლის მსურველთა რაოდენობა);
ე) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.
6.4. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად.
6.5. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების შესახებ ღებულობს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
6.6. გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ იღებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე.
6.7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შესაძლოა შეიმუშავოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამა: სამუშაოზე დაფუძნებული, ასევე პროგრამა, რომლითაც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი პროფესიული მოდულების 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა (დუალური) და პროგრამას, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სხვა.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება/განვითარება

7.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
7.2.კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დემინგის ციკლის შესაბამისად.

7.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს:
ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;
ე) ვერიფიკაცია.
7.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.
7.5.პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.
7.6.პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის აღმასრულებელ დირექტორს.
7.7.ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

8.1არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ბ)სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;
გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა; დ) პროგრამაზე აპლიკანტთა დაბალი მიმართვიანობა;
ე) პროფესიული სტუდენტების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა.

8.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

8.3.კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, შესატყვის გარემოებებს კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის აღმასრულებელ დირექტორს.

8.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, კოლეჯის ადმინისტაცია უზრუნველყოფს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

8.5.პროფესიული პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის შესაბამისობას.

8.6.შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს პროფესიულ სტუდენტებზე კვალიფიკაციის მინიჭების მუდმივმოქმედი კომისია.

8.7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემდეგ, კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

8.8.არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის მიზნით.

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი